

სასოფლო-განათლებელი



სასოფლო-განათლებელი
საბჭოთაო

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

მღვანეთი ტფილისში	მაუზუმი	3ან.
და გარეშე ადგილებში:		
მრთის წლისა — 4 მან.	— 3	
სახეურის წლისა — 3 —	— 2	
სამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.	

მასაჲ წალიყალი

ბამბოლის შებათობით.

ბ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა მ ი ი ლ ე ბ ა :

ტფილისის „სასოფლო-განათლებელი“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაშვილის სახლში, პოლიციის გვერდით, ტფილისის გარეშე მცხოვრებათათვის ადრები: ВЪ Тѣлѣнскѣ, въ конторѣ редакціи, СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ, при типографіи Меликова и К. 4.

შველ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს განათების კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში.

№ 8. შებათი.

III.

9 მაისი, 1870 წ.

შ ი ნ ა რ ს ი

მდივალური ნაწილი: მიწერილობა ტფილისის გუბერნიის უფლის ნაჩაღნიკებთან. — განცხადება სასოფლო-სამართლოებთან. — სახაზინო განცხადება. — არა ოფიციალური ნაწილი: რა ცოდნა უფრო საჭიროა კაცისთვის ცხოვრებაში? — თევზის შენების ამბავი. — ჩვენი ქვეყნის ამბავი. — პურის ამბავი. — სხვა და სხვა ამბავი (ტფილისის ხორცე — შეყენის გარეშე მგზავრებაზე — ლენის შენახვაზე).

ოფიციალური ნაწილი.

მიწერილობა ტფილისის გუბერნიის უფლის ნაჩაღნიკებთან.

წასრულის ათს მაისს რომ მიწერილობა გავზავნა გუბერნიის სამართლებლო, № 2893, იმასთან გაიგზავნა უფ. უფლის ნაჩაღნიკებთან მისი იმპერატორების შაჰლესობის დიდი მთავრის ქავეკსის ნამესტნიკის ცირკულარის გამოცემული 1868 წ. 10 აპრილს, რომელშიაც იყო გამოცხადებული ვადა და კანონები სხვა და სხვა გარეული ცხოველების ნადირობაზე. იუმცა ამისთან პირდაპირი მხანება გამოვიდა, მაგრამ ნადირობის შესახებ გამოცემულს კანონებს ხანდახან მაინც არღვევენ ხოლმე და გარეული ცხოველის რიცხვი თან-და-თან კლებულობს, და თუ ასე გავედღა, შეიძლება სრულეობა თუც ვაწყდეს ნადირი.

ამისთვის წარმოგზავნი რა თქვენთან განცხადებათა სოფლის საზოგადო სამმართველოებთან, მოგიწერო ანობოთ ნადირობის შესახებ დადებული კანონები, ყველა მცხოვრებლებს, რომელნიც არიან თქვენს ხელ-

ქვეით უფელში, და ამასთანავე თქვენის მხრივაც ნუ დაიზარებთ ზრუნვას, რომ ნამდვილათ ასრულდეს ნება მისი იმპერატორების შაჰლესობისა დიდი მთავრის ქავეკსის ნამესტნიკისა.

ნამდვილზე ხელ მოწერილია: ტფილისის გუბერნატორი ქ. ორლოვსკი.

დამოწმა: მანცელარის მმართველმა ზისერმანმა.

განცხადება

ტფილისის გუბერნიის საზოგადო სამმართველოებთან.

სმირად მოხდება, რომ მცხოვრებლები არღვევენ კანონით დადებულ წესებს ნადირობაზე; ამიგამო შემცირდა ტყის ნადირი და უფრო რომ ზოგიერთი გვარი გარეული ფრინველი იმყოფებოდან მხარეში, ასლა სულაც ვაწყდა. ნადირის ეკარნი ჩემ ხელ ქვეით გუბერნიის ზოგიერთ ალაგებში ნადირობენ ხოლმე იმ დროს, როცა კანონით დაშლილია და სრულეობით არ აყენებენ გარეული ცხოველს. სრულიად რომ არ ვაწყდეს ის ზოგიერთი გვარი ფრინველები და ცხოველები, რომელნიც კიდევ იმყოფებიან ამ გუბერნიაში, მიეუწერ ყველა სოფლის საზოგადო სამმართველოებს, რომ დაიხსოვონ და ისე მოიქცენ, როგორც ამ ქვემო მუხლებში სწერია:

დაშლილია ნადირობა:

1. გარეულ ფრინველს: — ხობობისა გნოლისა, მთის ქაიშისა და კაკაბისა 1-ს მართიდან 1-ს აგვისტომდის.

2. მარეული მხეცის: ირმის, ჯვირანის და ყოველ გვარი გარეული თხისა 1 იანვრიდან 1 ივლისამდის.

3. მგზავრი ფრინველისა: წეროს, გედლის, ხავთისა, ბატების, იხეების, სარაკისა, და ამ გვარი ფრინველისა 1 მაისიდან 1 აგვისტომდის.

წინათვე ვაცხადებ, რომ ვინც არ ასრულდეს ყოველსავე, რაც წემოთ ითქვა, ფრუხელ პასუხის გებას მიცემა კანონების ძალით, და განუშვებოვებ სოფლის მამასახლისებს, ჰქონდესთ ფიზიკური ყურისგდება, რომ არვის მისცენ ნადირობის ნება, იმდროს, როცა კანონით დაშლილია და თუ ვინმე დაარღვია წმით მოხსენებული წესი, მაშინვე მოახსენონ ადგილობრივ მთავრობას.

ტფილისის გუბერნატორი ქ. ორლოვსკი.

ЦИРКУЛЯРНОЕ ПРЕДПИСАНИЕ УЪД-НЫМЪ НАЧАЛЬНИКАМЪ ТИФЛИССКОЙ ГУБЕРНИИ

При предписаніи Губернскаго Правленія, отъ 10-го Мая прошлаго года, за № 2893, разослашь былъ къ гг. уѣздымъ начальникамъ циркуляръ Его Императорскаго Высочества Великаго Кн. Намѣстника Кавказскаго, отъ 10-го Апрѣля м. 1868-го года, въ

коемъ указаны были правила и сроки до охоты на разнаго рода дичь относящіяся. Не смотря однакоже на столь категорическое приказаніе, случаи нарушенія установленныхъ для охоты узаконеній до сихъ поръ не прекращаются и количество дичи, замѣтно уменьшаясь, угрожаетъ совершеннымъ ея истребленіемъ.

Вслѣдствіе сего, препровождая экземпляры объявленій Сельскимъ общественнымъ Управленіямъ, предписываю Вамъ поставить всѣхъ жителей върѣннаго Вамъ узда въ извѣстность относительно существующихъ для охоты законоположеній, неоставивъ приложить и личную Вашу заботливость о точномъ исполненіи воли Его Императорскаго Высочества Великаго Князя Намѣстника Кавказскаго.

Подлинное подписалъ Тифлискій Губернаторъ К. Орловскій.

Скрѣпиль: Правитель, Кацеларіи, К. Зиссерманъ.

ОБЪЯВЛЕНІЕ

Сельскимъ общественнымъ Управленіямъ Тифлиской Губерніи.

Частые случаи нарушенія законами установленныхъ положеній объ охотѣ имѣютъ послѣдствіемъ уменьшеніе и частью совершенное уничтоженіе нѣкоторыхъ породъ дикихъ птицъ и животныхъ, водившихся прежде въ краѣ. Промышляющіе продажою дичи, позволяя себѣ въ нѣкоторыхъ мѣстностяхъ върѣнной мѣ Губерніи охотиться въ запрещенное закономъ время, способствуютъ къ положительному уничтоженію дичи, почему въ предупрежденіе ознатчательнаго истребленія водящихся еще въ губерніи породъ дикихъ птицъ и животныхъ, предписываю къ непрременному руководству всѣхъ сельскихъ обществъ нижеслѣдующія правила. —

Воспрещается охотиться:

1. На *мѣстную птицу* — фазановъ, турачей, горныхъ курочекъ и куропадокъ съ 1 Марта по 1-е Августа.
2. На *краснаго зябра*, — олснѣя, джейрана, и дикихъ козъ всѣхъ наименованій — съ 1 Января по 1-е Юля.
3. На *перелетную птицу* — журавлей, лебедей, драхвъ, гусей, утокъ, стрепетовъ, пер-

еловъ, вальдшнеповъ и куликовъ всѣхъ наименованій — съ 1-го Мая по 1-е Августа.

Предупреждаю, что неисполненіе вышеизложеннаго повлечетъ за собою строгую ответственность на основаніи законовъ, подтверждаю сельскимъ старшинамъ имѣть неослабное наблюденіе о недопущеніи охоты въ неустановленное закономъ время и неупустительно доносить мѣстному начальству о всѣхъ случаяхъ нарушенія вышеозначенныхъ правилъ. —

Тифлискій Губернаторъ, К. Орловскій.

ს ა ხ ა ზ ი ნ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა :

მუთაისის მცხოვრებმა აზნაურმა ივანე იმიდღიშვილმა შეიტანა პოლიციაში განცხადება და შიგ ვერა, რომ 14 აპრილს შამინაროვისაგან დაქირავებულ ბოსლოდგან, რომელიც იმყოფება ქალაქის მეორე ნაწილის მესამე კვარტალში, ვინლამაც მოიპარა იმიდღიშვილის ცხენი, ამნაირი ნიშნებიანი: ულავია საშუალო ტანისა, მოშავო და შავი ფაფარი აქვს, კუდიც აგრეთვე შავი და გძელი აქვს.

მუთაისის საქალაქო პოლიცია, განაცხადებს რა ამას, უპოზიციოდ სთხოვს ყველას, ვისაც შეეგება ეს საქმე, მოზახოს ზემოხსენებული ცხენი და იმის მოპარაფი, რომელსაც კანონისამებრ უნდა მოექცენ, ვინცოდა, თუ ცხენი იხანა.

ამსთანავე დაეძვნა, რომ ზემოხსენებული ქურდობა უკვე ვაცნობეთ ქალაქის მუთაისის მოპრიგებელ მოსამართლეს და მუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს. 1870 წელს, 15 აპრილს.

არა ოპოზიციური ნაწილი.

რ ა ც ო დ ნ ა უ შ რ ო ს ა ზ ი რ ო ა კ ა დ ი ს ტ ო ვ ი ს ც ხ ო რ კ მ ა ზ ი .

ამას გარდა სხვა შემთხვევებიც ბევრია იმისთანა, რომელიც გვარწმუნებს, რომ კაცი უსათუოთ ძალიან კარგათ უნდა იცნობდეს თავის თავს. შოველითის ხომ არ მოხერხდება, რომ ვამდელსაგით კაცს ზურგს უკან ჰყავდეს ექიმი და კვალში უდგეს, რომ ან თავის თავს არა მოსწიოს რა და ან სხვას. მაშ ყოველ კაცს თავისი გონება და ცოდნა იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ იცოდეს, რა აწყენს, ან რა

არგებს, ერთი სიტყვით იმას უნდა გავიგებოდეს იმდენი, რამდენის გაგებაც უსწავლელ კაცს შეუძლიან.

* *

მაგრამ იქნება ვინმე გულ-კეთილობით იკითხოს! — მაგისტანა მეცნიერობა რა ჩემი საქმეა, ან მაგდენი სიბრძნე რაში უნდა დამოვიყენოვო? მაშ რისთვის არიან ექიმები, ან უკეთ ვთქვით მკურნალები, ეგებიც რომ ჩვენ ვიცოდეთო? მე იმათი საქმეა და წიგნებიც იმისთანა უჭირავსთ ხელშიოა. ეს რასაკვირველია ასეა: მკურნალები თავის საქმეს არ მოიშლიან, მაგრამ ვისთვისაც მკურნალები არიან, იმათც უნდა იცოდნენ რამე ავთ მყოფობისა, რომ საქმე რიგინათ წაიდეს. ძაც რომ თვალები ახვეული ჰქონდეს და უკანიც ღებან კაცი მისძახოდეს: „გაფთხილდი, თორეც ქაში ჩავარდებოა“, მაგრამ იმას რომ ეს სიტყვები არ ესმოდეს, განა შეიძლება ამით ააცილონ თვალ ახვეული კაცი ქაში ჩავარდნასა? — მთქვით ეს კაცი ჩავარდა კიდევ, მაგრამ თუ ჩაშვებულს თოკს ხელს არ ჰკიდებს და მხოლოდ კედლებზე იპოტინება ხელგებით, განა შეიძლება იმისი ამოყვანა? — სრულგებით ამის თანა კაცსა ჰგავს ისიცა, ვინც არ იცის, ვინ მი ამ წამალს რათ ურჩევს და იმას რატო არაო, ან ვინც ვერ გაარჩევს კარგ ნაწაწაველ ექიმს ბებრუხანა-მკითხვისაგან და ჰგონია იმისი წამალი და იმისიცა ორივე ერთია, ერთ ნაირათ უხდება კაცსაო. — ამისთვის ისიც ქაში ჩავარდნილ კაცსაგით ხელს უპოტინებს თოკის მაგიერათ სველ მიწას, რომელიც აპირებს ჩამოქცევას და იმის გაქცელტას.

* *

სწავლული ექიმები, რომელთაც ჩვენ მკურნალებს ვეხებით, და ამის შემდეგ სულ ას დაფუძახით, ცდილობენ თავის მეცნიერებოდ გან მხოლოდ ის ასწავლონ, რაც ყოველ კაცისათვის საჭიროა. ამას იმიტომ შერებოა რომ ყოველი კაცის მკურნალად გამოყვანა არ შეიძლება. მა საქმე, როგორც ზოგიერთ ჰგონია, ისე ადვილიც არ არის. ძარც მკურნალობას დიდი ხნის სწავლა უნდა. ბევრ მანსენებულის ნაკუწ-ნაკუწათ აქნა და განსრეკა მოუნდება კაცს, სანამდის ზედ მიწენით შეიტყობდეს ტანის აგებულებას, როგორი მუშაობა არის ტანში, როცა კარგათ არა ან რა მოხდება ხოლმე იმაში ავითყოფობა დროს: — რაც ავითყოფობა ქვეყანაზეა, ყ

ლა ზებირათ უნდა იცოდეს; და ის კი იმდენია, რომ კაცი ძლიერ მოსთვლის; ამას გარდა „მამაო ჩვენო“საით უნდა მოსთვალოს მკურნალმა, რა ავთომყოფობას რა ნიშნები და მიზეზები მოსდევს; აგრეთვე უნდა იცოდეს ყოველწინაირი იმათი წამლობა. მართი და იგივე ავთომყოფობა სხვა და სხვა კაცს სულ სხვა და სხვა გვარათ მოეპყრობა ხოლმე; იმიტომაც უნდა იცოდეს კაცმა, ვის რა მოუხდება და ისე უწამლოს. ბოლოს აზრინათ უნდა შეიტყოს კაცმა ყველაფერი, რასაც თავის გარემო ჰხედავს და რასაც ვერ ჰხედავს, რისგან ვახდება ავთ და რა მოარჩინს. მაშ ვისაც ჰგონია, მკურნალის ცოდნა მხოლოდ ის არისო, რომ სხვა და სხვა ავთომყოფობა წიგნებით დისწავლოს და როგორი წამლობაც უნდა, ის შეიტყოს, მეტი არაფერიო, — ამისთანა კაცმა ბევრი არა იცის რა.

* *

მართალია მკურნალს იმიტომ უსწავლია, რომ არჩინოს ავთომყოფები, იმათი მოშლილი ტანი ასწიროს ხოლმე; მაგრამ წამლობას გარდა სხვა უფრო დიდი საქმე აწევს მკურნალს კისერზე; მკურნალმა ისეთი დარიგება უნდა მისცეს კაცს, რომ იმან თავი დაიფაროს სწეულობიდან რა ალიას ბედზე წამლობა არ იყოს იმისთვის საჭირო. ამისთანა დარიგების მიცემა, მკურნალს გარდა, სხვასაც შეუძლიან, ვინც იცის რის გამო დასწეულბულია ტანი და იმით რა ცელილება მოადის კაცს ტანში, ან როგორ უნდა მოაშოროს თავი ავთ განდობას და თუ ეს არ შეიძლება, ისე მიიწ დაატკობს სენი, რომ, რაც შეიძლება, ცრტა ვნება მიეცეს კაცს იმითი.

* *

იქნება ზოგმა იკითხოს:—ამდენი სიბრძნე საიდან უნდა შეიძინონ უსწავლელ კაცებმა, ან ვის წახედონ?—ხალხი ბევრია ქვეყანაზე და სწავლული ლეკრები კი ძალიან ცოტაა. ათი ათას კაცს ერთი ლეკრიც არ გახედობა. ისინი მარტო ექიმობას უნდებიან, მაშ როდისღა უნდა ასწავლონ რამე ვისმეო. — ამის მასუსხს მოგახსენებთ: სწავლება ადგილი საქმეა. მა კია, რომ წერა-კითხვის მცოდნე კაცებს არ უნდა ეზარებოდესთ ხმა-მალა კითხვა უსწავლელ კაცებთან ისეთი წიგნებისა, საცა მხოლოდ იმდენი არის გამოკრეფილი სამკურნალო მეცნიერებებიდან, რაც კი საჭიროა. ძითხვა და გავგონება იყოს, თორემ სხვა ყველა-

ფერი ადგილია. და თუ ვისმე მოუყვია კითხვის სურვილი კარაბადინისთანა წიგნებისგან ლმერთა ამორს: კარაბადინი და იმ გვარი წიგნები ჯერ არაფერს სწავლას არ ატყობინებენ კაცებს, მხოლოდ მაშინვე წამლობას მიეარდებიან და ექიმობაზე დაიწყებენ ლაპარაკს. რა გამოვიდა?—მა იმასა ჰგავს, კაცმა რომ ანბანიც არ იცოდეს და წერა-კითხვას მოჰყვეს. ზოგიერთი წაიკითხავს ამისთანა საექიმო წიგნს და თითქოს ვიცი რამე ავთომყოფობისაო, ასეთს წამალს ასმევს, რომ მისთანა შენს მტერს! თხა რომ ბოსტანში გადაუშვა, წახედნეს, თორემ არას გააკეთებს, ამ ცრუ ექიმების საქმეც ისეა.

* *

მერ წარმოიდგენ, რამდენი უბედურება მოხდება ქვეყანაზე იმითი, რომ უცოდნარი კაცი დაიწყებს ექიმობას და ადგილი ავთომყოფებიც კი კვდებიან ამითი. რამდენი უბედურება მომხდარა იმითი, რომ ლეკრის კარგი დარიგება კურშიაც არ შეუშვიათ ამისთვის, რომ რაც კარაბადინშია, ლეკრს ის არ უჩივია და საწყალმა ავთომყოფმა სხვა წამლის ყლაპით გაჭიბა ფეხები.

* *

თუმცა ამდენი უბედურებაა ქვეყანაზე კარაბადინისა და საექიმო წიგნების წყალობით; მაგრამ ხალხი მაინც ძალიან ეტანება ამისთანა წიგნებს და ოღონდ კი მხნასა ამისთანა წიგნი უსწავლელმა კაცმა, თორემ უკანასკნელს გროშს მისცემს და მაინც იყიდის. რათ არის ასე?—იმისთვის რომ ხალხი ძალიან საჭიროებს თავის სიმართლის შენახვას და ავთომყოფობაში, ახლოს რომ იმისთანა არაეინ ჰყავს, რჩევა ჰკითხოს, თვითონ ცდილობს როგორმე თავის მოარჩინას. მაგრამ თუ მაინცა და მაინც არ იშლის თავის წამლობას იმ საექიმო წიგნებიდან კი არ უნდა ამოიკითხოს რჩევა, რომელნიც სამზარეულო წიგნებზე უკეთესები არ არიან, — საცა სწერია, რომ ამა და ამ საქმლის გაკეთებისათვის ესა და ეს მასალები ამ ნაირათ უნდა ახმაროვო. მაშოვა ვინმე ლეთის უფუნური, რომელსაც თავის დღეში ქაქქირიც (ჩაშიჩ) არ აუღია ხელში და დაიწყებს მზარეულობას ამ წიგნის წყალობით; რასაკვირველია ისეთს საქმელს მოავგარებს, რომ კაცი პირში ვერ ჩაიკარებს. მაგრამ ამითი მაგდენი ენება არა ეძლევა რა კაცს; კარაბადინთი ექიმობის დაწყება სულ

სხვაა. თუ საქმელი არ ეარგა, შეიძლება მეტრე მომზადდეს და მკედ-რს კი უფროსი ექმანა წამოაყენებ.

* *

მაგრამ იმისთანა წიგნების კითხვა სულ სხვა, საცა წამლობას გარდა აწერილია კაცის ტანის ავებულება და რაც დედამარის ზურგზეა, იმის ანგარიში. მაინც ჯერ ამებს კარგათ არ დაიწვავლის არც ავთომყოფობისა და არც წამლობისა იმას არა შეუძლიან რა შეიტყოს, არც ის შეუძლიან გაიგოს, როგორ უნდა მოარიდოს თავი სწეულებას და როგორ გასძლოს დიდხანს. თუ მკურნალი სადმე ახლოს არის, რასაკვირველია ის ემჯობინება, რომ იმას ჰკითხავდეს რჩევას და თავისთავათ არ დაიწყებდეს წამლობას. როცა მკურნალი ახლოს არ არის და მაშინვე კი უნდა მიეშველო უბედურების დროს, მაგალითად როცა კაცს სისხლი სდის და არ წედება, ან თუ ვინმე დეცა და გულს შემოეყარა, სულთქმა არა აქვს, მაშინ თუ რამე იციან ექიმობისა, უბრალო კაცებსაც შეუძლიანთ კარგი რჩევა მისცენ ავთომყოფს. ისევე ცოტა რამ კარგი შემწეობა სჯობია, ვინამც იმისთანა კაცის წამლობა, მაგალითად ბებრუხანა მკითხავისა, რომელმაც არა იცის რა და ასეთ წამალს მისცემს, რომ უბედურებას უბედურებზე შეაკეცს და შემდეგ ეერა მკურნალი ევლარას უშველის.

* *

როდესაც კარგათ შეიტყობ კაცის ტანის ავებულებას და ქვეყნის ანგარიშს, წინდაწინვე შეგიძლიან მიხედვ, რა როგორ უნდა; და დარწმუნდები კიდევ, რომ მკურნალობა-ძალიან ძნელი სწავლაა. შემდეგ წინ დაუხედნათ აღარ დაიწყებ წამლობას და თვითონაც აღარ გაეგბი მკითხავის მახშიში, რომელიც ფულსაც ატყუებს გულ-კითილ კაცებს და იმათვე ღუპავს. მაშინ ყოველ გამგელელ-გამომეღელის რჩევას აღარ დაუჯერებ და ისე აღარ მოგივა, როგორც დათემა თავის მგობარს უყუო. მართი დათეი და ერთი მეუღანბრე დამძობლდენ. დათეს დიდი პატივის ცემა ჰქონდა თავის მგობარისა და სთხოვა ძმობილო მოისვენე, მე გიყარაულეგობა. როცა მეუღანბროს დაეძინა, ბუზი უშობლზე დაასკუბდა. დათემა აიღო ერთი მოზდილი ქვა და ბუზს უთხრა: შენ როგორ გაბადე ჩემი მგობარის შეწუხება, თუ კაცი ვარ, ამ ქვით გაგიჭყყავ, თავისაო: მოიქნია და მართლაც ქვა დასცხრა

მაგრამ ბუზთან მგვობარსაც თავის ტვი-
ნი გადასთხია.*

* *

სიმრთელის შენახვისათვის კაცმა კარგათ
უნდა გაიციოს ბუნება. მანც ბუნება
არ იცის, იმას არც ტანის მოგლა ეცოდინე-
ბა. ამისთანა კაცი ემზავება ისეთს კაცს,
რომელსაც უნდა ერთ სადმე დანიშნულს
ალაგს მისვლა და გზა კი არ იცის საით უნდა
წავიდეს. ბევრმა სიტყვა ბუნება რა არის,
ესეც არ იცის!

* *

ან კი საიდგან უნდა იცოდეს მაგისთანა-
ბი?—წიგნებს ის არ კითხულობს, მეცნიერებ-
თან არ ლაპარაკობს და მხოლოდ თავისთანა
უწავილელ კაცებთან ატარებს დროებას. სხა-
დია, რომ მხოლოდ იმ კაცს ეცოდინება, რა
არის ბუნება, ვინც ნასწავლია და ყველა მე-
ცნიერებაში გართულია. იქნება ვინმე გულ-
კეთილობით იკითხოს, ვითომ რათ უნდა ვი-
ცოდე, ბუნება რა არისო? „აღბოთ ეს ბუნე-
ბა შესანიშნავი რამე უნდა იყოსო! მართლაც
დიდი რამეა ბუნება. სანამდის ცოცხლი ვართ
და კარგით ვართ არამც თუ მაშინ, როცა ავით
გაუხრებთ ან მოვედებით, მაშინაც კი მოსე-
ნებას არ გვაძლევს ბუნება და ერევა ყოველს
ჩვენს მდგომარეობაში. ხან ჩვენ სასარგე-
ბლოთ მუშაობს, ხან ჩვენ საზარალოთ;—ეს
იმაზე ჰკილია, თანხმობით ეცხოვრობთ იმასთან,
თუ მტრულათ. როცა კარგათ დაატყარდები,
რაც გარს გარტყია, დღის სინათლისაგან და-
ინახავ, რომ ბუნება ძალიან გვიყვლის და თი-
თქოს ჩვენი მგვობარი და ნათესავი იყოს,
ბევრს კეთილს გვიშვრება. მა თუ გელუბავს,
ჩვენ თვითონ ვართ იმის წინაშე დამნაშავე.

* *

მაშ ანამცითუ მეცნიერისთვის, უბრალო კა-
ცისთვისაც დიდთ საქირაა ბუნების რიგა-
ნათ გაცნობა, რომ ყოველთვის გაწყობილება
ჰქონდეს ხოლმე კაცს იმასთან, ესე იგი ისე
მოქცეს, როგორც ბუნებას უნდა, რომ ჩვენ-
სავე სასარგებლოთ ვაკეთოთ ყველაფერი.—
რა არის ეს ბუნება?—აი, რა არის;—სულ
ყველაფერი, რაც ღმერთს გაუჩნია: ცა, მზე,
მთვარე, ვარსკვლავები. აგრეთვე რასაც მი-
წაზე ეხედეთ: ზღვა, მდინარე, მთა, ტყე,
ცხოველები, და კაცთა ნათესაობა სულ
ერთიანთ „ბუნებაა“. ჩვენი სახლი,

გზო, ბაღი სახნავ-სათესი მიწები, საქონე-
ლი და ყოვლის ფერი ჭურჭელ-იარაღი
რომ ერთად ავიღოთ,—მათ ყველას სახელო-
ჰქვია იუჯახობა.—„ბუნება“ იმ გერს სახე-
ლია. მანსხვეება იმაშია, რომ ერთია ლეთის
იუჯახი, მეორე კაცისა, ესე იგი ჩვენი შრო-
მისა და ჯათის ნაყოფი.

* *

ამაზე უსწავლელო კაცები გვეტყვიან.—„მე
ბუნება ხომ ჩვენც დიდი ხანია ვიცითო“;—
პარგია, თუ ღმერთი გვამისთ, ტყუილა ნუ გე-
ვტყენთ: იცით, მაგრამ არ იცით. იმას იცნობთ
თქვენ შორიდგან, მხოლოდ ტანისაგანით,
ახლოს ცნობა კი არა გაქვთ; კარგათ რომ
გაცინოთ, ასე იტყვით, ეს რა საკვირველი
და სიბრძნით აგებული შენობა არისო. თუნდ
ავიღოთ წყალი. მსეც ხომ ბუნების ნაწილია.
მგონია ბავშვმაც კი იცის, წყლი რა არის;
ის წყალს რძეშიარ გარეცხ. მაგრამ, აბა! ჰკი-
თხეთ, ბავშს კი არა, დიდს კაცს, რომელსაც
არა უსწავლიათ რა, რა არის წყალი?—„წყა-
ლი წყალიაო“—მეტს ვერაფერს გეტყვის.—მე
ხომ ჩვენც ვიცით, შენ ის გვითხარი, რისგან
შესდგება, როგორ კეთდება წყალი?—სად
იკარგება წყალი, როცა მიწა ან ტბა შრება
ხოლმე. დიდი ვეება ხომალდები რომ ბუმ-
ბულსაგან წყალში დატურავენ და პაწაწა ქე-
რომ ჩაავდნო შიგ, მაშინვე დაძირავს, ეს რის-
გან მოხდება ხოლმე; კაცს რომ უწყლოთ გა-
ძობება არ შეუძლიან, მაგრამ შიგ თევზსაგი-
თაც ვერ იცოცხლებს, ეს რისგან არის? რათ
ამბობენ, რომ ერთი წყალი კაცს არგებს მე-
ორე კი არაო. სხვაც მრავალი ამისთანა კი-
თხეები შეიძლება კაცმა მოგვეცეს და თურ ნა-
სწაველი არა ვართ, რიგან პასუხს ვერ მი-
ვცემთ. წყალს გარდა სხვაც ბევრია ისეთი
ნივთები, რომელთაც ყოველ დღე ჰხედავ, მა-
გრამ ყველამ კი არ იცის, რა არის და საიდ-
გან წარმოსდგება ეს ნივთები. იმათი ცოდნა
კი ძალიან საქირა და ძვირფასია კაცისთვის.
ამისთანა ცოდნაზეა დამოკიდებული ჩვენი
სიმთვლე და დიდი ხნის სიცოცხლე.

* *

ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ მივლ ბუნებაზე;
მზეს მთვარეს და ვარსკვლავებს თავი დე-
ვენობათ, თორემ შორს წავალთ. ჩვენ მხო-
ლოდ თვლით გადავებლოთ ჩვენს დედა-მიწას
და იმ საკვირველ ბუნებას, რომელიც იმაზე
აშენებულა. მს ქვეყნიური ბუნება, ცოტაც

არის, ყველამ უნდა იცოდეს, ამისთვის; რომ
ჩვენი ცხოვრება და სიმთვლე უფრო იმას
ხელშია.

* *

ძველათ არ იცოდნენ, რა მოყვანილობა
აქვს ჩვენს დედამიწას. მგონათ რომ ის თევ-
ზითი ბრტყელია და იმის კიდევზე ირგუ-
ლივ ცის კამარაა დაშვებულიო. ასე ეგონათ
რომ ცა ბამბის კარავსაგანით დღემულია მი-
წაზე. ახლა ბევრმა უსწავლელობა კაცებმაც კი
იციან, რომ ჩენი მიწა ბრტყელი კი არ არის,
ბურთსაგანით რგვალია და შეიძლება გარს შ-
მოუაროს კაცმა, ისე თითქოს ბურთზე ძაფი
შემოგირტყავს. მთქვით ახლა ტფილისიდგან
რომ წვივით იქითკენ საცა მზე ჩადის ან
უკეთ ვთქვით დასავლეთ და სულ ასე
ვიარათ, არც მარჯვნი და არც მარცხნივ არ
გადაუხვებით, ვივლით, ვივლით და ბოლოს
მოვალთ ისე ტფილისს, მაგრამ მეორე მხრი-
დან, საითაც მზე ამოდის, ან უკეთ ვთქვით
დასავლეთი დგან. ჩენ წვივლიდით
მაგი ზღვისკენ და უკან მოებრუნდებით
ძასპის ზღვით. მართი სიტყვით ჩვენი გზა მი-
წას ისე შემოუვლიდა გარს, როგორც ბურთის
ძაფი შემოავლია. მაშ მიწაც ისე რგვალი ყუ-
ფილა, როგორც ბურთი.


* *

მთქვით ახლა მიწა რგვალია, მაგრამ ეს გე-
თხარით; რაზე დგასო?—იტყვის მკითხველი.

— მთვარე და მზე რაღაზე დგას?—სრუ-
ლებით არაფერზე, მაგრამ მზე ასი და ხუთა-
სი ასასჯერ მეტია მიწაზე, თუმცა ჩვენ ისე
პატარა გვეჩვენება:—ძალიან შორს არის და
იმისთვის. მსენი ღვანან ღვთის კანონის ძა-
ლით. მეცნიერებმა იციან, დაწერილებით ვ-
კანონი, მაგრამ ჩვენ რომ აქ იმის ახსნას
მოუვლდეთ შორს წავალთ და არც ვგერე ად-
ვილი ასახინდია. ჩვენ რომ რაიმე სასწაუ-
ლით მთვარეზე გადავფრინდეთ და იქიდგან
მიწას შემოვხედოთ, ისიც ისე ნათელი დ-
ცის კამარაზე მავალი მოგვეჩვენება, როგორც
მთვარე. მხოლოდ მთვარეზე მეტი იქნება
იმისთვის, რომ მიწა ოცდა ცხრამეტი მთვა-
რისთანა გამოვა, ისე დიდია.

თეზის შემავის აბჯავი

მე რ ო ზ ა შ ი და რ უ ს ე თ შ ი.
მე რ ო პ ის სახელმწიფოებმა დიდი ხანია შე-
ნიშნეს, რომ მდინარეებში და ტბებში თევზ



წყდება უთავბოლო ქერით. ამისთვის მთავრობებმა გამოაცეს ისეთი კანონები, რომ ამ დონის ძიებით როგორმე დავაღლით თევზების გაწყვეტა. ამას გარდა სწავლულებიც დიდი გულს-მოდგინებით შეუდგნენ იმის გამოძიებას, თუ როგორ ცხოვრობენ თევზები, ან რაწარით შენობენ. ბოლოს იმდენათ გაიცნეს თევზის ცხოვრება, ისეთი ხასიათი და ჩვეულება უპირველესად, რომ ამ ცოდნით კაცს შეუძლიან ერთი მდინარიდან მეორე მდინარეში გადასხას ახალი გვარის თევზი, რომელიც არაოდეს იმ წყალში არ ყოფილა. შეიძლება რომელიმე გვარის თევზი იმდენათ გააზრდებოდნენ, რომ მთელ სახელმწიფოსაც სკამოა საზრდო მიეცეს იმითი. რაც კი მცენიერებს შეუტყვიათ თევზის ცხოვრებიდან, თუ რივიანათ იხმარა კაცმა საქმეში, შეიძლება ახალი გვარის თევზიც გააჩინოს.

* *

ამ ასი წლის წინათ შეიტყვეს, რომ თვითონ კაცს შეუძლიან თევზების ერთმანეთზე დართვა და განაყოფიერებულნი ქვირილიდან შეიღებოს გამოყვანა. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდის არაფერს თავში არ მოსდიოდა ამ ძვირფასი ცოდნით ესარგებლებინა. მცოი, რაცა ხუთი წლის მეტი არ იქნება მას აქეთ, რაც მეროპის სახელმწიფოებში შეუდგნენ ზემოხსენებული წესით თევზების შენებას და ამდენათ გააზრდეს თევზები, რომ მთელმა სახელმწიფოებმა იწყონ იმითი გამდიდრება.

როგორც სამხელარს გარეთ, რუსეთშიაც აგრეთვე მთავრობა და კერძო კაცები შეუდგნენ ისეთი საშუალების ძებნას, რომ წყლებში ისევ გაემზარებინათ თევზები. მართლაც გამართეს თევზის საშენებელი აუზები, განსაკუთრებით შინლანდიაში, საცა ახლა ითვლება თერთმეტი აუზი; იმათში ყველაზე საუკეთესოა თევზის აუზია ნოვეგოროდის გუბერნიაში ნიკოლსკის სოფელში. ამბობენ, ამისთანა დიდი და კარგი მოწყობილობით აუზი არამეტო რუსეთში სამხელარს გარეთაც ძვირიაო. უწინ ის იყო ერთი მებატონისა, სახელათ შრისისა, ახლა კი ხაზინას ეკუთვნის. ჩვენ გვინდა მკითხველები გავაცნოთ, როგორ იციან სამხელარს გარეთ და რუსეთში თევზის მოშენება, ვთქვიანო — რასასარგებლოა ქვეყნისთვის ამისთანა საქმის დაწყება და როგორი წარმატება მისცემია ამ ხელობას ამ უკანასკნელს ქაშს.

* *

თევზის ზდა აუზებში ძველი დროდგან სხევიათ სხვა და სხვა ხალხებს; ათასი და რორი ათასი წლის წინათ საბერძნეთში და რომში აშენებდნენ სხვა და სხვა თევზებს აუზებში. ის კი არა, იმისთვის აკეთებდნენ უზარმაზარ შენობებს, რომელნიც განიყოფებოდნენ რამდენსამე ნაწილათ. ძოველ ნაწილში თავის საკუთარი გვარი თევზები ისხდა. რომის სახელმწიფოში მდიდრებსა და ღარიბებს თავთავიანი ჰაუზები ჰქონდათ. მდიდრები აშენებდნენ ასეთ სათევზებ ტბებს, რომ თითო აუზს რამდენიმე ვერსი სიგძე-სიგანე ჰქონდა. ღარიბები კი აშენებდნენ კალმახს, ორგულს, გელაქურს და სხვ. ამ თევზებისთვის უფრო პაწაწა აუზები იყო საქირო, ცოტა ხარჯსაც ითხოვდა და უფრო ხელსაც მისცემდა იმათი კეთება ცოტა შეძლების პატარანებს. მრთს რომის მდიდარს სახლად ლუკულს ნეპოლის ზღვის უბესთან ისეთი დიდი სათევზებები ჰქონდა, რომ მის სიკვილს შემდეგ ორ მილიონ მანეთად ვაჭყიდეს.

* *

რომაელებიდან ეს ხელობა იმის ხლმით დამორჩილებულმა ხალხებმა ისწავლეს; მაგრამ, როდესაც ეს სახელმწიფო დაეცა, თევზის შენებაც დაივიწყეს. ს შუალო საუკუნოებში თევზის შენება ისევ შემოიღეს, რადგან ზოგიერთის თევზს დიდი ფასი ღირდა. შემდეგ ისევ ხელიდან გაუშვეს აუზების მოვლა. ამის მიზეზში, როგორც სწავლულები ამტკიცებენ, მიწის მუშაობა იყო. ამან უფრო სარგებლობის ძლევა დაუწყო მცხოვრებლებს და ყველამ იმას მოჰკიდა ზელი. ამის გამო აუზებს ვინდა უგდებდა ყურს.

* *

როგორც რომაელებმა ჩინელებმაც ძალიან დიდი ხნიდან იცოდნენ განაყოფიერებული ქვირილით თევზის შენება. მაჯახულზე, როდესაც ქვირილით თევზი ზღვიდან მდინარეებში შემოიღოდა ქვირილის დასადებათ და პაწაწა თევზების გამოსატყნათ, მაშინ ორკეცა ღობეთი და წინელებით გააკეთებდნენ წყლებს. თევზი ღობის ქვირილიალებში ძვერობდა, ეხახუნებოდა წინელებს და სტოვებდა მათზე ქვირილს. შემდეგ ამ განაყოფიერებულ ქვირილს იღებდნენ წყლის ქურჭლებით და ჰყიდდნენ, ვისაც მსურდა უთევზო წყლებში თევზის გაჩენა.

* *

როდესაც ძველი რომის სახელმწიფო დაეცა, იმის შემდეგ ათასი წლის განმავლობაში განაყოფიერებულ ქვირილის ევლარავინ ჰკრფდა და როგორც ეტყობა სულ დაივიწყებოდათ თევზების შენების ხელობა. ამბობენ, მეთუხმეტე საუკუნეში ერთმა კათოლიკის ღვდელმა აფრიკის კიდებზე მოიგონა თევზების გამოყვანა განაყოფიერებული ქვირილიდანაო. ის ხმარობდა თავ ახლილს დღის ყუთებს, რომელთაც ორივე მხრით წნელით გაღობილი კედლები ჰქონდა, ასე რომ მდინარეში რომ ჩაგდებდა, წყალი ადვილათ შედიოდა შიგ და გადიოდა. ის ხელოვნურათ მოაყრიდა ყუთის ძირზე ქვიშას და როგორც ქვირილის დადების დროს იცის კალმახმა ქვიშის ამოთხრა, ისე გაუკეთებდა ქვიშის პაწაწა ორმოებს შიგ და ჩადებდა განაყოფიერებულ ქვირილს; მერე ამ ყუთს ჩადგამდა მდინარეში, სადაც ოკი დღის შემდეგ გამოტყდებოდა პაწაწა თევზები. ძველა ქვირილთებიდან გამოტყნის ერთი სრული თვე უნდებოდა. ამ სახით კათოლიკის ღვდელმა (პასტარამა) პინშონმა პირველათ მოიგონა ხიზილილის განაყოფიერება და პაწაწა თევზების გამოტყნა. ითმეცა დიდი სარგებლობა შეეძლო ამ გამოჩენას მოეტანა ქვეყნისთვის, რომ იმითი მაშინვე ესარგებლებინათ, მაგრამ ეს მეტად კარგი საქმე მაშინვე დაივიწყდათ და დიდი ხანი გავიდა, მანამდის პინშონის გამოჩენას ისევ ვახსენებდნენ.

პინშონის გამოჩენა მხოლოდ ამ თექვსმეტი წლის წინათ ვახსენეს ერთი ბარონის მადლობით, რომელსაც ჰქონდა შენახული ძველი ხელნაწერი, საცა დაწერილობით იყო აწერილი პინშონის ხელობა თევზების გამოყვანაზე.

* *

შესანიშნავია, რომ ძველიდან განვიხილოთ, სხვა და სხვა სახელმწიფოები როგორ უყურებდა თევზის გაშენებას. ისინი მხოლოდ გამოსცემდნენ ხოლმე ბძანებას, რომ არამცა და არამც ზოგიერთ დროს თევზის ქერა არ იყოს, ან ესა და ეს წამალი არ იხმაროთო და სხვა ამისთანაები.

მეთუ საუკუნეში ინგლისელმა კაროლმა მტელერელმა დაუშალა თავის სამეფოში, რომ ახალი გამოტყნილი თევზი არც არაფერ დაიჭროს, არც ჰყიდოსო. მართლმა მალკოლმა მეორემ დანიშნა დრო, როცა უნდა ექირათ

ზღვის სემგა. ამასთანავე დაწესებანი და კაროლის ზღანებანი გამოდიოდნენ საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში თევზის ქერის გულისთვის.

მეგრელები საუკუნის გასულს საფრანგეთის მინისტრმა პოლბერმა გამოსცა ზღანება, რომ ქვირითის ღების დროს და ღამით თევზს ნუ იჭერთო. მეფერამეტე საუკუნეში ვინც ზღვის ბალახებს და სხვა მცენარეებს მოჰკრიდა, იმას კანონი სჯიდა.

* *

მაგრამ პოლიციის განკარგულება მაგდენს ევრას გააწობდა თევზის გაშენებაში, თუ მთავრობას კერძო კაცები არ დახმარებოდნენ, რომელთაც თავის შენიშვნით და გამოკვლევით მოიგონეს ისეთი საშუალება, რომ თევზები ადვილად გამარაგებულიყო, ან გადასხმულიყო სხვა მდინარეებში. შეედგინა მცენიერმა ლუნდმა დიდი სარგებლობა მოუტანა თავის მხარეს ამ შემთხვევაში. იმან დიდიხნის გამოძიებისა და თვალ-ყურის დევნებით შენიშნა, რომ ზოგიერთს თევზებს როცა ქვირითის ღების დრო მოუვთო, ირჩევენ იმისთანა ადგილებს, საცა დროა არ არის წყალი და საცა უფრო თბილა. ამისგამო იმან მოწინა ყუთები, შიგ ფიხები და ტრატები ჩასდო; მერე შიგ ჩაქვდა ხოლმე დედალ-მამალ თევზებსა; ორს ან სამს დღეს დააცლიდა და მერე ამოიყვანდა. მანაყოფიერებული ქვირითი რამდენიმე ხნის შემდეგ გამოტესდა პაწაწა თევზებს, რომელნიც პირველ დროს იზღებოდნენ ყუთებში და მერე გამოუშვებდნენ მდინარეში. ამ სისით სამყუთში ლუნდმა ათი მილიონი სხვა და სხვა თევზი გამოხარდა. თევზების ქვირითის გამოტესხა მოიგონა პინშონმა და გამოსაყვანი საბუღრების კეთება შემოიღო ლუნდმა. ახლა მოვიხსენოთ ის კაცი, რომელმაც შემოიღო ხელნობით განაყოფიერება ქვირითისა.

* *

ამ აი წლის წინათ შეიდი წლის ომი რომ იყო პრუსიასა და სხვა მეროპის სახელმწიფოებს შუა; გრავ ზოლშტინმა ერთ ფრანკტუხის აფიცერს მისცა ხელნაწერი, რომელსაც ჰქონდა ასეთი სათაური; „ორაგული-სა და კალმახის გაშენება.“ ამ წიგნის დამწერი იყო სტეფანე ლუდიე იკაობი. ეს იყო ლიპპე-დებმოდლის მებატონე. როგორც ამბობენ, იკაობმაც ერთი მოხუცებული მეთ-

ევსესგან შეიტყო, როგორ უნდა თევზების დართვა ერთმანეთზე და ქვირითის განაყოფიერება. ამ ხელნაწერთან გამოცემულ უმთავრესს მუხლებს.

* *

1. უნდა გააკეთო ხის ყუთი თითქმის ორი საყენი სიგე, ორი მტკაველი სიგანე და ოთხი გოჯი სიღრმე.

2. სიგანეზე ყუთს ნახერტები აქვს და შიგ ჩასმულია რკინის ბადე. შურა პაწაწა ნახერტები, რომელსაც სიგე ერთი ციდა აქვს და სიგანე ნახევარი ციდა, წყალი შედის და უფრო დიდში გამოდის. რკინის ბადეები რომ არიან ნახერტებში ჩაყენებული, ისინი უშლიან ქვირითის მანებელ ჭიებსა და მცენარეებს ყუთში შესვლას.

3. ამავე განზრახვით ყუთი ზევიდგან მაგრათ იკეტება. შეიძლება ზეითაც გაუკეთონ ნახერტი, რომელშიაც შეიძლება ჩაუყენოთ რკინის ბადე, რომ სამყოფი სინათლე ექვს ახალ მოზარდ თევზებს, მაგრამ თუ ეს არ ექნება, არც ამითი დააკლდება რა პაწაწებს.

4. უნდა აარჩიო კარგი მოხერხებული ადგილები, ან წყაროსთან, ან აუზის სათავეში, რომ შეიძლებოდეს ხოლმე წმინდა წყლის შეშვება ყუთში.

5. ბოლოს ყუთის ძირი ერთი თითის დაღებზე სილით ან კენჭიანი ქვირით უნდა მოფინოს, და მერე შედ ერთი წყობა კაკლის სისხო კენჭები უნდა მოეწყოს. (ამნაირათ ყუთში კეთდება ქვის ძირი, რომლის საჭიროება ქვემოთ აღმოჩნდება.)

6. ნოემბერში ან ნაირ რიგან ადგილზე რამდენიმე ან გეარ კოლოფებს ამზადებენ. მსაა ორაგულის ქვირითის დაყრის დრო. — ორაგული დიდი მდინარეებიდან პატარაებში ამოდის გასამრავლებლათ. ამ დროს, აი როგორ უნდა მოიქცეს კაცი:

7. ძარგათ გაწმენდილ ჭურჭელში წმინდა წყალი უნდა ჩაასხას კაცმა, და ზედ დედალი ორაგული დაიკავოს ხელში ისე, რომ თავში ხელი ეკიდოს. თუ ქვირითი საქმათ დამზადებულია, ის თავისით გამოდის თევზიდან და ჭურჭელში სციენდება. თუ არა და, თევზის მუცელზე უნდა ფაქვანთ ხელი-გადაუსვას კაცმა, და მაშინ ქვირითი თავისუფლათ გამოდის ჭურჭელში.

8. ამ გეარათვე უნდა მოექცეს კაცი მაღალ ორაგულს, და როცა ქვირითის იმოდენა

რძე ექნება დასხმული, რომ წყლის სპირიტოკრატით გათვთრდება, მაშინ ქვირითის განაყოფიერება შესრულებული იქნება.

9. ამის შემდგომ განაყოფიერებულ ქვირითს ყუთებში სდებენ, და წყაროდან წყალს უშვებენ. წყალი ნამეტნათ ჩქარა არ უნდა მილიოდეს, ისე რომ ქვირითი კენჭების შუაღარჩეს.

10. საჭიროა ხანდისხან წყლის მოწაბრანი ბინძურობიდან ქვირითის გაწმენდა. ამისთვის ბატის ფთის წყალზე გატარება-გამოტარებაც საკმაოა.

11. ხანდისხან მოხდება, რომ ხუთი ქვირითის შემდგომ ქვირითში პაწაწინა ორაგული მთელათ გამოასახული იქნება და შიგ ცხოვრებას და ნძრევას იწყებს. — მამოსახული ორაგულის დანახვა ადვილია, ამიტომ რომ გამსკვეერ ქვირითს მაშინვე დაეტყობა ორაგულის თვალების შავი წერტილები. ამ თვალების გამოჩენის შემდგომ, რვა დღე რომ გაიარს ორაგული თავისი ქვირითის თხელკანს გაარღვევს და გარეთ გამოდის წყალში.

ამ ნაირ თევზის განაყოფიერებას იკაობი ხმარობდა სხვა და სხვა თევზის საშენებელ ადგილებში და ზოგან ისე კარგათ წავიდა საქმე, რომ გაშენებული თევზით გეარინი ეპტრობაც გამიართა. ამის გულისათვის ინგლისის სახელმწიფომ იკაობის დაჯილდოება ისურვა, და პენსია დაუნიშნა.

ჩაენი ქვეყნის ამაზი

შინ არ იცის, რომ პური და ღვინო ყველაზე უფრო საჭიროა ყოველი კაცისათვის ამიტომაც არაფერი არ შეაწუხებს ისე კაცს როგორც ამ ორი ნივთის შემოკლება და გაძვირება. ღვინის სიძვირესა და ნაკლებობას ჩვენ შეგვიჩვიეთ ეს ხუთმეტრი წელიწადია; თუმცა ეს ძალიან დიდი დასაკლისია ჩვენთვის ამჟამად, მაგრამ შენდგში, იმედი გვაქვს, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენშიც იკლებფაზის აეთომოფობა. მისაც მსურს მალე გათავისუფლოს თავის ვენახები ავთომოფობიდან, იმან არ უნდა უტადოს სანამ თავისი მოარჩება ვაზი, ცოტა ხელი უნდა გაანძიროს და რაიმე ღონისძიება იხმაროს. ამ ღონისძიებებზე რამდენჯერმე იყო მოლაპარაკებნიმ გავეთში, რომელიც თქვენ გიჭირათ ან ლა ხელში.

* *

ლეინის ნაკლებობას წელს, საუბედუროთ, პურის სიძვირც, და ზოგან სულ უპურობაც დაერთო. წინანდელ გაზეთში მოვიხსენიეთ, რომ მთელიისში და ქაზეთში პური ძალიან ძვირი არისთქო. ახლა ქალაქში ბლომით შემოიტანეს პური სხვა ადგილებიდან, ასე რომ ნამდვილი საჭიროებასაც ვაღვამეტაო, როგორც ამბობენ. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, ამბობენ, ქალაქიდან გატანის ნებას ძნელად აძლევენ სოფლებებსაო, რადგან ერთმომც მარტო ქალაქის საჭიროებისთვის იყოს აქ პური.

* *

ამ ამბავზე აი, რას სწერენ მთელიდან ქართულ გაზეთში — „ღრობაში“: პურის სიძვირე იმერეთში ხომ მუდამ არის. აქ, ზემო იმერეთის გარდა, პური თითქმის არსად არ მოჰყავთ და მავდენი არც მოვა, თუ ბევრი ოფლი არ დღევრა და დიდი შრომა არ გასწია მიწდრის პატრონმა. მაგრამ, მის მაგიერათ, მქადისა და ლომის სიძვირეს ისე არ უჩივიან აქ, როგორც მთელიისის გუბერნიასში; მართალია, ეს ორი ყოველად საჭირო ნამუშევარი, ესე იგი, მჭადი და ღომი ცოტა არ იყოს ვაძვირდა, როგორც თვითონ მთელიისში, ისე სოფლებშიცა, მაგრამ შიმშილობისაგან კი, მგონია, ლმერთი დავიხსნის, რადგან სოფლებებისაგან ვაგივრან, რომ წელს ეტყობა, კარგი მოსავალი იქნებაო.

პურის ამბავი.

— ს ი ლ ნ ა ლ ი, 12 აპრილს, 1870. წრულ, როგორც ყველამ იცის, ჩვენს საქართველოში პურის ნაკლებიანება. ეს ჩვენ შევეტყეთ გაზეთების კორრესპონდენტების სხვა და სხვა მხრიდან: ზორიდან, მთელიიდან და შალიქის ახლო-მახლო ადგილებიდან. სიღნაღიდან კი შიმშილზედ არაფერს არ იწერებინ. მაგრამ, (ჩვენ ამას დარწმუნებით ვამბობთ), იმისთანა შიმშილი არსად არ არის, როგორც დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარეს სიღნაღის უეზღში. ეს უბედური ადგილები წინა მხარში დაიწყება ს. პარდენახიდან ვიდრე თელავის უეზღამდე, უკანა მხარში ს. მელაინიდან, ვიდრე შალიქის უეზღამდე. მართი სტყვიით, ძრავლ პურის ნაკლებიანება იმ სიღნაღის ნაწილში, საცა ბატონ-ყმობა იყო, საცა კეთილშობილი თავა-

დშილები სწველიდნენ გლენ-კაცს. თავ ქიზიში კი, სადაც ტუტია გლენ-კაცები ცხოვრებენ, იქ შესანიშნავი შიმშილი არ არის, თუმცა კალი პური იქაც ისყიდება ხუთ მანეთით.

მისაც უფლია პარდენახისაკენ და იმას ზევით, იმან კარგარ იცის, როგორი სინიღისიანი და მორცხვი ხალხი სცხოვრებს იმ სოფლებში. შიმშილმა ისე გამოცვალა ეს მშვენიერი ხალხი, რომ ვეღარ იცნობება. ამ პარილში სიღნაღში დადიოდნენ თხოვრათ იმდენი მშვენიერი ვაჟ-კაცი და დედაცოცობა, რომ არ დაითვლებოდა. მათ ვაჟკაცს ეკითხე: რათა სთხოულობ და რატო არა მუშაობ მეთქი? — „საქმე შოზე და ვიმუშავებო, მიპასუხა იმან; ცალ-შვილის ცოლვამ დამწევა, წაოველი სათხოვრად; რასაც ვმოულობ, ძალიანაც რომ მშოიდეს, არა ესკამ, მაშინვე შინ მივარბინებ“. იმის ვაფთირებულს თავ პირს რომ შევებდე, მაშინვე დაერწმუნდი, რომ მართალს ამბობდა.

სიღნაღიდან ჩავედი ხირსაზედ, აქ უფრო ბევრი თხოვარა ვნახე, სულ პარდენახ ზემოთი ხალხი. რაც იმათ ილაპარაკეს ნურც, ყურნი, ვაიგანებ და ნურც, თვალო, დაინახე. — „ღილი ხანია, მიაშობა ერთმა იმათგანმა, რაც ხალხს პური შემოაკლდა. სულ ბალახით მივდივართ იოლას; კინკარი და ბაღბის სახელი ვაქრეთ. იმ დღეს ჩვენ სოფელში ორ დედაკაცს მოსვლოდათ ლაპარაკი: არა მე დაეკრეთ და არა მეო; ერთმანეთი კინკრით ისე დაელუღებინათ, რომ იმათ წივილ-კივილმა სოფელი შესძრა.“ იმათ მიამბეს მე რამდენიმე შემთხვევა შიმშილით სიკვდილისა, მაგრამ მე აქ მარტო ერთ იმათგან მოვიხსენებ.

ს. ზორში ერთ ქვრივ დედაკაცს ჰყოლია ერთი ვაჟიშვილი. შემოჰკლებია რა პური, დიდხანს კინკრით, ბალახით და სხვა მწვანე-ულობით უტარებიათ სიკვდილზე; მაგრამ ყმაწვილს ეს ვერ აუტანია და ბოლოს უთქვამს დედისთვის: მითხრავ სადმე პურიო. დედას უფლია სოფელში, ვერა უშოვნია რა. მეორე დღეს ყმაწვილი დაინახავს, რომ ერთი იმათ მცხოვრებელთაგანი თონეს ახურებს, და მტყუის ტირილით დედას: „წადი ერთ ლუკმა პურს მინიცი მოგტეხენ; ერთი თვალით მაინც დამანახეო.“ დედა წავა, სთხოვს და უარ ნათქვამი გამოპრუნდება. დავდებამ იქ და იტი-

რებს, თუ რა პასუხი მიუტანო შეილოს; მაინც ცოტა ხანს მერე მივა და ვეძებო მისაზრამიტესესო.“ ამ სიტყვის თქმა და ყმაწვილის სულის დაღვევა ერთი ყოფილა (*).

სხვა კიდ ბევრი რამ საცოდაობა მელაპარაკეს და მეც თითონა ვნახე, მაგრამ არ მინდა მითხველს გული მოუთუთოქო.

როგორ არ უნდა სთქვას კაცმა, რომ ჩვენი უბედურების მიზეზები ჩვენვე ვართ. ჩვენ რომ პურის მალაზიები გექონდეს სოფლებში, ხომ ასე არ დავიღუპებოდით. ძომლზედ რომ კალი პური შეიტანონ სოფლებებმა, იმათ ოჯახს არა დააკლდება, და ვაჭირების დროს კი იმ მალაზიით სოფელს დიდი შევლა მიეცემა. მისაც ვაუჭირდება, გამოიტანს იქედან პურს და ცოტა სარგებლით თავის დროს ისე შეიტანს. დღეს-ხვედ მალაზია ვაივებს და შიმშილის დროს, რა თქმა უნდა, ძალიან გამოაღებება ხალხს. ისეთი უბედურება ხომ არ მოხდება, როგორც ესალა: — შიმშილით ზოგი მოკვდა, ზოგი ვაყვითოდა და დაქლექდა; და ვინც ცოცხალი დარჩა, ისეთ ვალოში ჩაყარდა, რომ შეილი-შეილიც ვერ აუვა. „სარგებელიც ხომ არსად არ ასევესებენ, ეს მართალია; მაგრამ სიღნაღელებითი კი სარგებელს დედამიწის ზურგზე არავინ არ იღებს: ამისთანა საქმეებში ისინი ძრვიელ ყოჩაღლები არიან.“ (**)

(ღრობა № 17.)

სხვა და სხვა ამბავი.

რუსულს „სამეორნო ბაზეთში“ იწერებინ ოდესიდან, რომ ამ ქალაქში ცხენის ხორცის საყსაზო ვაუმართავთ. აქ დაკლული ცხენების ხორცისაგან მეყასზე აშადას თურმე ჩაჩხებსა და ძხვებს და ზოგს სამწღვარს ვარეთ (ინგლისში და საფრანგეთში) ჰგზავნის და ზოგს თვითონ ოდესაში ჰყიდას. მისაც ვაუშინჯავი ცხენის ხორცი, ამბობენ, რომ ძროხის ხორცზე ნაკლები ვეწირილი და მარგებელი არ არისო.

* *

*) ეს გვიამბო ჩვენ პატისანმა პირმა, რომელიც დიხსი არის რწმუნებისა და რომელიც თანამდებობისა გამო დაიარება აქა იქით სოფლებში, უ. შ. ბ.

**) სოფელს მირზანში ერთმა გლეხმა კაცმა ვაერად ბონაშვილმა მოიქმნა შეზღვი სასიამოვნო საქმე: კვირ ცხოველს წინათ ახდა ორმო პურისა და უსარგებლით ვაასხსა.

ძაცის ქუთამ ჩვენ დროში იქმნა მიწოა, ისეთს ჩამეგბს ჩადის ისა, რომ ასი-ოთხისი წლის წინეთ მოფიქრებაც არ შეიძლო. მართს მაგალითს მოვიყვანთ აქა: უწინ სამოცი ეგრისის გავლას უქანასკნელი ერთი დღე ან დღენახევარი მაინც მოუნდებოდა კაცი; ახლა კი ამ მანძილს ერთ საათს, ან საათ ნახევარს ვაივლი რკინის გზის საშუალებით. ეს კიდევ რაა! ამერიკის ქვეყანაში რამდენიმე ვაჭარი შეყრილან, შეუდგენიათ კამპანია (საზოგადოება) და გამოუტყდებიან, რომ, ვისაც სურს, ათას რუპასი მანეთი შემოიტანეთ და ამ ფულებით მთელი დედა-მიწას დაგატარებთ და ყველაფერს, რაც კი არის ქვეყანაში შესანიშნავი, ვიგინებთო. მთელი დედამიწის დაელისთვის, იმათი ანგარიშით, სამითვე და ნახევარი მოუნდება და ორითასი მანეთი კარგათ ეყოფა; ისინი ათას რუპას მანეთს იმითგა ჯერდებიან, რომ, იმედი აქვთ, ბევრი მსურველები გამოჩნდებიან ამნაირი მოგზაურობისა და ამიტომ უფრო იოლათ გამოვლენ ხარჯში. უწინდელ დროში ვინ იფიქრებდა, რომ მთელი დედა-მიწის შემოვლა როდესმე შესაძლებელი საქმე იქნებოდა? ახლა კი რამდენ სწავლულ კაცებს დაუვლია უცხო ქვეყნების გასაცნობათ და რამდენ შეძლებულებს თავის შესაქეციათ და დროს გასატარებლათ! —

* *

— **ღვინის შენახვა** — ჩვენში ღვინოს შენახვა ადვილი საქმე ჰგონიათ; ჩაახსამს კაცი ქვევრში ღვინოს და თავს მიანებებს; — თითონ ქვევრი კარგათ შეინახავსო, — ამბობს ჩვენებური. — როცა დამჭირდება, მოეხდი და ყოველთვის ჩინებული სასმელი იქნებაო.

ჲ, მაგრამ როცა ღვინოს შინ დასაღვეათ არ ამზადებენ, და გასაყიდათ შორს ქვეყანას ჰგზავნიან, მაშინ უფრო ძნელი ყოფილა ღვინის ისე გადატანა, რომ არ დამარდეს. ამბობენ, ვერც ქვევრი ინახავს კარგათ ღვინოსო, ქვევრშიაც ხშირათ მჭყდებოა.

იმ ქვეყნებში, სადაც მეურნეობას და ოჯახობას მოჰქიდეს ხელი მეცნიერებმა, და სადაც სწავლამ და მოხერხებამ ბევრს უბედურებას გადაარჩინა კაცი, სწავლულებმა გამოიკვლიეს ღვინოს დამყავების მიზეზი, და ნახეს,

რომ ამის მიზეზი თურმე ძლიერ მცირე ცხოველები ყოფილან, რომელნიც ღვინოში იზადებიან და იზდებიან. ძარგ ძმარს რომ კაცი გახედავს, შიგ ბევრს ამნაირ ცხოველებს დაინახავს, რომელნიც ძალიან წერილი მატლებივით დასურვიან.

* *

როცა ეს მიზეზი იპოვეს, თითქმის ის საშუალებაც ნაპოვენი იყო, რომ ღვინო არ დამარებულყო. იმისთანა ცხოველი არ არის ქვეყანაზე, ნამეტან სიცხეს რომ უძლებდეს; ამისგამო, ამ პატარა ცხოველების ამოწყვეტა სიცხეს ან დუღილს შეეძლება. ამ აზრზე დადგა საფრანგეთში ერთი გამოჩენილი სწავლული, უფ. პასტერი, რომელსაც საფრანგეთის მმართველობამ ღვინის დამარების მიზეზის გამოძიება მიანდო.

* *

პასტერმა მოწმების წინ ღვინო იყიდა, და ორ ნაწილათ გაჰყო; ერთი ისევ ისე ჩაახსა თლებში, დააბეჭდინა მოწმებს და ისე შეინახა; მეორე კი მოკალული სპილენძის ტურქელში ჩაახსა, აღუღებულ წყალში ჩაღვა, ცოტათი გადმოაღულა, მერმე გადაახსა ბოთლებში, ისევ მოწმებს დააბეჭდინა და შეინახა. — ჩამდენიმე ხნის შემდგომ, ორივე ნაირი ღვინო მოწმებმა გაშირჯეს, და გამოჩნდა, რომ აღუღებულნი ღვინო თიღქმის ისე შენახულიყო, როგორც ყიდვის დროს ყოფილა; აღუღებელი კი სრულიად ძმარათ გადაქეულიყო.

* *

ეს ამბავი რომ გავრცელდა ღვინის პატრონებში და ვაჭრებში, ზოგიერთმა მათგანმა მოინდამის მისი შინჯვა, რომ კიდევ უფრო დარწმუნებულ იყვნენ. ეს საშუალება თურმე ყველას მშვენიერად გამოაღდა. შევლავს უფრო კი პასტერის აზრი ერთმა მდიდარმა სირაჯმა გამოიყენა. იმან დაიარა მთელი მანრა, და რაც ღვინო ნახა იმისთანა, რომ დამარებაზე ახლოს იყო, სულ ერთიანათ ბზის ფასათ იყიდა, დაღულა, და ისე შეინახა. ჩამდენიმე თვის შემდგომ იმას ხელში ჩინებული ღვინო დარჩა, რომელიც, რასაკვირველია კარგ ფასათ გაჰყიდა. ამ უბრალო მოხერხებით, იმ სირაჯს თურმე ძალიან მოგება უმოვიდა.

* *

საფრანგეთის მმართველობა ძლიერ ბევრ ღვინოს ყიდულობს ყოველ-~~წელს~~ წელს. მისი ზღვის ჯარისთვის; მაგრამ, რადგანც ზღვაში ღვინოს ნამეტან რეყვა აქვს, შეუძლებელი საქმე იყო აქამომდის გემში ღვინის შენახვა დაუმარებლათ. ამ გასაჭირის ასაკიდებლათ, საფრანგეთის მმართველობამ ისურვა პასტერის საშუალების შინჯვა და ეს საქმე მთელ კამისიას მიანდო, რომელიც ჯერ ღვინის აღუღებას და შენახვას, და მერმე მის გასინჯვას დაეწრო. ძამისისა შემდგარი იყო პირველ სწავლულებიდან და მენობალღებებიდან; ამ პირებმა, ჰპოვეს, რომ პასტერის მოგონებული საშუალება სწორათ ჩინებულია და ღირსია, რომ მიღებული იქმნეს.

* *

ამ აზრის თანხმით, საფრანგეთის მმართველობამ მიიღო პასტერის საშუალება, და ეხლა რაც ზღვისთვის ღვინო მზადდება, სულ აღუღებელი უნდა იყოს; პირველ წელიწადში მმართველობამ ვერ გახედა, რაც ღვინო ქონდა, სულ აეღულებინა, და მარტო ნახევარი ააღულა — როცა გამოჩნდა, რომ აღუღებული ღვინო კარგათ შენახულიყო, და აღუღებელი კი სულ წამხდარიყო, მაშინ მმართველობამ მიიღო წესათ სულ ერთიანათ აღუღება ღვინისა. — მხლა ღვინის ასაღულებლათ მმართველობამ ძლიერ დიდი ქარხნები გამოართა.

* *

მმართველობის მაგალითს, რასაკვირველია ვენახების პატრონებმა და სირაჯებმა მიხადეს, და ორი წლის განმავლობაში საფრანგეთში ძლიერ ბევრი ასაღულებელი ქარხანა გაიწყო, ზოგიერთში კიდევაც ახალი გამოჩენილი მაშინებაც არის მიღებული. მაგრამ უფრო მეტგან ხმარობენ, როგორც წესად ეთქვით, კარგათ მოკალულ სპილენძის ტურქელს, რომელშიაც ღვინოს ახხმენ; ამ ტურქელს სდგამენ აღუღებულ წყალში და იმდენ ხანს აღუღებენ ამ წყალს, სანამ ღვინო კარგათ არ გასწავლდება. სულ კი რომ აღუღდეს, ის არ ვარჯა ამიტომ, რომ მაშინ ღვინოს გემო, ცოტა არ იყოს, უხდება და თავისი სუნი ეკარგება. —

* *

ჩვენში ღვინო უფრო ხშირად დაქანებულთა (მომარებულთა). სული არ იქნება, ჩვენ ღვინის პატრონებმა რომ ეს უბრალო საშუალება იხმარონ, და შინჯონ, თუ რა ნაირი იქნება ჩვენი ღვინოები, ხეირიანათ რომ შეინახოს კაცმა. ეს ცდა თუ არ გამოადგება, ზიანს მაინც არას მისცემს ჩვენს ღვინის მუპატრონეებს. მამ რატომ არ გაუხსციან.